

ფრთხილ

რედაქცია: სოლოლოკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინაძის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში, ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Д р о б а“.

გაზეთის ფასი: მთელს წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადების: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., პატარა ასოებით ასოზე—8 კაპ., ჩუქურთმისათვის ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

საქართველო

სიტყვა

თქმული მუთაისის სობოროსა შინა შემდეგ წესის აგებისა მიცვალბულის

ბასარიონ ღოდაპარქმასაზედა

1879 წელს 7 მარტს

ძმანო ქრისტიანენო!

მგონებ, რომ დღეს მთელ ჩვენ ქალაქში არ არის არც ერთი კაცი, რომელიც არ გრძობდეს მძიმე მწუხარებასა, მხედველი ამის კუბოსისა და მას შინა მდებარისა მიცვალბულისა. არა თუ მისი ნათესავნი და მეგობარნი, არამედ ყოველნი, რომელთაც გაგონილი ჰქონდა, ვინ იყო იგი და რა კაცი იყო, დღეს არიან ღრმად შეწუხებულნი მისის სიკვდილისაგან.

მართლაც, ვინ არ შეწუხდება მხედველი ასე უღროვოთ მისისა გარდაცვალბულისა! ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საზოგადოება სამწუხაროთ ფრიალ ღარიბია ამისა მსგავსი პირებით. არა თუ ღარიბი ვართ, თითქმის არაფერ არ არის ჩვენ შორის ისეთი პირი, რომელსაც შეეძლო მთელი საზოგადოების ყურადღების და მინდობილების მიზიდვა. მიცვალბულის კი იყო ერთი ესრეთი პირი. იგი იყო შემეკული მაღალი ჰკუითა და სხვათა სულიერთა ნიჭთაგან, რომელნი იყვნენ დამუშავებულნი ღრმა და საფუძვლიანი

სწავლითა. ამასთანავე ცხოვრება და საქმენი მისნი ყოველთენ იყვნენ ფრიალ სასარგებლო და გამოსადეგი ქვეყნისათვის. საზოგადოებისაგან მას ჰქონდა მინდობილი დიდი საქმე, რომელსაც იგი მართადა ჰკუით და წარმატებით.

და ამა ესე რა იგი ვარდიცვალა უცხოთ, უღროვოთ, და ვერ მოასწრო მან მისი საქმისა სისრულეში და სიმწიფეში შეყვანა. ვინ არ შეწუხდება, ვინ არ დალონდება და არ დაფიქრდება მხედველი ასე უღროვოთ მისი ვარდაცვლილებისა.

მარნა, ძმანო ქრისტიანენო! თუშე იგი მართლა უღროვოთ ვარდიცვალა, თუშეცა მას კიდევ მრავალი სიკეთის და სარგებლობის მოტანა შეეძლო საზოგადოებისათვის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თავი ვინუფეშოთ მით, რომ მან მაინც მრავალი სიკეთე და სარგებლობა მოიტანა თავის ქვეყნისათვის, მაინც დიან პატროსანი სახელი და ქება დასტოვა, მაინც ბევრი კარგი მაგალითი გვიჩვენა ჩვენ. არ ვიტყვი და საჭიროც არ არის აქ ვახსენო რაოდენი შრომა მიუღია მას თავიდგანვე შემდგომ სწავლის დასრულებისა და სამსახურის დაწყებისა ქვეყნის განათლებისათვის, მართა ერთს და ისიც უკანასკნელს მისის სიცოცხლის გარემოებას ვაეხსოვნებ. თამამათ ვიტყვი, და ყოველთა მისთა მახლობელთა იციან ესა, რომ მან მისი სიცოცხლე დალია და შესწირა იმ საქმეს, რომელიც მას ჰქონდა მინდობილი საზოგადოებისაგან. იგი გადაყვა, ანუ დაბიუ-

რათ ვიტყვი, გადააკვდა მის სამსახურს. კარგი ხანია იყო იგი ავათ, თან-ღათან სუსტდებოდა, მაგრამ არ იშლიდა ჩვეულებრივი შრომას. მისი მეგობარნი და ნათესავნი ურჩევდენ და სთხოვდენ, რომ ცოტა ხანს მოისვენოს, დაეთნოვოს სამსახურს, წავიდეს სადმე მოსარჩენათ, მაგრამ არ დაუჯერა, ეშინოდა რომ საზოგადო საქმეს არ მიეცეს რაიმე ზარალი მისი განშორებით.

ისე თავგადადებული იყო და მოყვარული მისი საქმისა, რომ ლოგინზედაც დაწოლა არ მოინდომა, თუშეცა ძლიერ დადიოდა, თითქმის ფეხზე მდგომარე ვარდიცვალა, უკანასკნელის სულის აღმოფხვინამდი იყო შრომაში და მუშაობაში.

დიღა ეს მაგალითი, დიღა ამისთანა თავგადადება სამსახურისთვის, მეტადრე ახლა, ამ ჩვენ დროებაში, როდესაც თითქმის ყოველნი სამსახურში მყოფნი ცდილობენ რაც შეიძლება, ერთი მხრით, თავის გაუჭირვებლად გაატარონ მათი სამსახური და მეორე მხრით, რაც შეიძლება, მომეტებული სასყიდელი და სარგებლობა გამოიტანონ სამსახურიდან.

ძმანო! როდესაც მხედარი თამამათ სდგას გაცხარებულ ომში, გარემოს მისა ათასნაირი სიკვდილი ფრინავს, მაგრამ მას არ ეშინიან, უშიშრად შეებმება მტერსა, ხან-ღა-ხან დაკოდილიც არ ეშორება ბრძოლასა და მიიღებს სიკვდილსა, მას ყოველი კაცი აქებს, გმირს

ფელტონი

ორიოდ სიტყვა სტატიიგაზე: „შიქრი და შენიშვნა“ და „სხარტულა“ („ივერია“, № 1879).

სოლშვილის პატრონი კაცი რომ საითმე გაეშვზავრება, ამბობს მოლიერის სკანენი, დაბრუნების დროს ყოველთვის ის უნდა ჰქონდეს სახეში, რომ ოჯახი არეულ-ღარეული დაუხვდება: ქონება სულ დამწვარი, ფულები მოპარული, ცოლი მკვდარი, ვაჟი-შვილი ყელ-გამოჭრილი და ქალი-შვილი გაუპატიურებული“.

შარეს უსიამოვნებას უნდა მოელოდეს კაცი, რომელსაც სურს იმუშაოს თავის ქვეყნისათვის.

ამ რჯულის აღმინი რაკი კისრულობს ძნელ საზოგადო საქმეს, ყოველ წამს უნდა მოელოდეს სასტიკ კრიტიკას თა-

ვის მტრისაგან და მოყვრისაგანაც. და თუ ამგვარი მებრძოლე ყოველ წინააღმდეგობაზე დაეთრებს დაჰკარგავს და დააფიწყდება ყველა, რაც სწამდა, აქედამ, რასაკვირველია, აღმოჩნდება, რომ ის ან ისე ტვინ-სუსტია, რომ ვერ მორეგია თავის ძნელ საქმეს, ან ისე ფარისეველია, რომ არ დაუნდვია წმინდა საქმე, ხალხს ეჩვენებია იმის ადგოკატათ, მართლა საადვკატოთ კი არა, არამედ მხოლოდ დასაკვენათ. თუ ამგვარ აღამიანს უთხრეს: ბატონო, შენ არას აკეთებო; საშინლად დაიწვილებს და ათას ჯორს მოიგონებს თავის მოწინააღმდეგეზე.

სწორეთ ეს დემართა „ივერიის“ რედაქციას.

მე ამ წელს ჩემს „ალმანახში“ გამოეტქვი ის აზრი, რომ ესლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთობა აღარ ეხმარება ძველებურად ჩვენ საზოგადოებას იმის ახალ ძნელ საქმეების გარჩევაში და მხოლოდ ახალ ამბების ძებნაშია და

ანბანურ ჰეშმარიტებების დეკაში. ამ აზრს რამდენადაც შემეძლო ვამტკიცებდი ჩემ შემოხსენებულ სტატიაში და, რასაკვირველია, მოველოდი კეთილ-სინდისიან კრიტიკას; მაგრამ ჩემი იმედი განტყუნდა. „ივერია“ გაწიწვატებულია: როგორ გამიხედო, და თებერვლის წიგნში ორ სტატიაში: „შიქრი და შენიშვნა“ და „სხარტულა“, უთავაზებს თავის მკითხველებს უთვალავ ჯორებს იმ ბ. თუმანიშვილზე მოგონილებს, რომელმაც გაბედა „ივერიის“ წუნების შენიშვნა.

მე იმ აზრების წინააღმდეგ არაფერს ვიტყვი, რომელნიც გამოსთქვა „ივერიაში“ შემოხსენებულ სტატიებში. მე ჩემ მკითხველებისაგან გამოგონია, რომ ეს აზრები მეტად საცინელნი არიან დე იმთხე ლაპარაკი არა ღირს. მაგრამ, მაგონია, ბევრმა ვერ შეატყო, რომ ხსენებულ პატივცემულ რედაქციამ ითვალთმაქცა, თავის სტატიებში მათქმეი-

ეძახის. მაგრამ ვგონებ, რომ უდიდესი ქების ღირსი არის ის კაცი, რომელიც მსგავსად საბრალოისა ამის მიცვალბულისა, თავის სიცოცხლეს შესწირავს ასე თავდადებულად საზოგადო საქმეს, ჩუმათ, მოთმინებით, არა მომლოდინე, რომ მას ვინმე უყურებდეს და აქებდეს, არამედ კიდევ ესმოდა მრავალი ყველგან, ცილის წამება მტერთაგან და მოშურნეთა. მტერი, მოშურნე თვით უკანასკნელს, არა რაით შესანიშნავს კაცს ჰყავს; მიცვალბულს, რა საკვირველია, ვითარცა გამოჩინებულს და შესანიშნავს პირს, მრავალი მტერი და მოშურნე ჰყავდა, რომელიც მასზედ მრავალს უსამართლოდ კიდევ სწერდენ და კიდევ იტყოდნენ და უმეტესად უმძიმებდენ მის შრომას.

ზარნა რაიცა აქამომდე ჩვენ ვსთქვით, ის იყო სოფლიური, ხორციელი საქმე, რაც მას ჩვენ უქეთ აქამომდე ისიც ხორციელი იყო და სოფლიური. მართალია, ვინც ისე თავდადადებით და ნაყოფიერად ასრულებს მის მოვალეობას, როგორც მიცვალბული, იგი ღვთის ნებას ასრულებს, ღმერთს ემსახურება; რადგანაც ღმერთიც ამას გვიბრძანებს და ამას მოითხოვს ჩვენგან, რომ დაუცხრომელი შრომითა და მეცადინეობითა ვატარებდეთ ჩვენსა ცხოვრებასა.

ზარნა, ძმანო, ქრისტიანო! რაც ვინდა შესანიშნავი იყოს კაცი, თუ ვინდ მთელ ქვეყანას აკვირებდეს თავის ჭკუითა და საქმითა, თუ სარწმუნოება ღვთისა არ ჰქონდა, იგი იქნება მხოლოდ ამ სოფლის შეილი და მუშაკი, იგი სილაზე აშენებდა მის სახლს, მისი ქება და სახელი იქნება მოკლე, ვითარცა ეს სოფელი და აქური წუთი-ცხოვრება და იმასაც ვფიქრობ, რომ ყოველი მორწმუნე, ღვთის მოყვარე კაცი, როდესაც კუბოში დაინახავს მიცვალბულს, უპირველეს ყოვლისა იმას იკითხავს თავის გულში—როგორი ქრისტიანე იყო იგი, ჰქონდა თუ არა სასოება და სარწმუნოება? ახლა ამ ჩვენ დროებაში

უმეტესად საჭიროა შევიტყოთ—მორწმუნე კაცი იყო თუ არა ეს მიცვალბული?

ახლა ერთი ახალი და შესანიშნავი გარემოება წარმოებას ჩვენ საზოგადოებაში, ის რომ ჩვენ ქვეყანაში ყოველნი არაკოვანნი, მოხუცებულნი-ძველებულნი ქრისტიანნი ევკით უყურებენ ახალ გაზდა თავის შეილთა და შეილის შეილთა, მეტადრე მათ, რომელთა რაოდენიმე განათლება მიუღია დიდ თუ მცირე სასწავლებელში, და არა თუ ევკით უყურებენ, თითქმის არ სწამთ, რომ იგინი ქრისტიანნი იყვნენ, სარწმუნოება ჰქონდესთ, მეტადრე თუ მაღალი სასწავლებელიდან გამოვიდა ვინმე, არაფერს დაიჯერებს რომ იგი იყო მორწმუნე კაცი. სამწუხაროდ ჩვენდა და ყოველი თავის მამულის მოყვარის კაცისა ეს ევკი უსაფუძვლო არ არის, ცხადათ ხედავენ ძველებულნი კაცნი, რომ ახალ-გაზდობათა შორის სუსტდება და ეცემა სარწმუნოება ღვთისა და ქრისტიანობა. როგორი იყო ამ კერძოთ მიცვალბული? მორწმუნე ქრისტიანე იყო თუ არა? მთ მას სარწმუნოება არ ჰქონდა, არაფერი არ მქონია, ყოველი მისი ქება და შრომა აქვე გაქარდება ამ კუბოში. რისთვის მოიკლა მან თავი? უმჯობესი არ იყო, რომ ორიოდ დღე კიდევ ეცოცხლა ამ ქვეყანაში? ზარნა, ძმანო, ჩემნო! სანუგეშოდ ჩვენდა, ჩვენ გვაქვს მიზეზი და საფუძველი ვსთქვით, რომ იგი იყო მორწმუნე, ქრისტიანე კაცი. ხოლო ეს გარემოება რომ ესრეთი განათლებული კაცი არ იყო ურწმუნო, არამედ ჰქონდა ცხოველი სარწმუნოება და ქრისტიანობა კიდევ ერთხელ ცხადათ ამტკიცებს იმ ჰაზრს, რომ ურწმუნოება არ არის ნაყოფი სწავლისა და მეცნიერებისა, არამედ უმეტესად უსწავლელობისა, ანუ ზედა პირი უსაფუძვლო სწავლისა მართლა, ვინ იყო და ვინ დარჩა ჩვენ ქვეყანაში ისე ღრმად და ერცვლად სწავლული და მეცნიერი, როგორათაც

მიცვალბული ესე? ზარნა მისმა სწავლამ და მეცნიერებამ არ გააქარვა მისი სარწმუნოება, არამედ უმეტესად დაალოშავა და გაამაგრა. არა უსაფუძვლოა იტყვის ერთი უდიდებულესთა ფილოზოფსთაგანი, რომ ღრმა მეცნიერება კაცს მიიყვანს ღვთის სარწმუნოებისადმი, ხოლო ზედა პირი, უსაფუძვლო სწავლა—ურწმუნოებისადმი.

ხოლო შენ, საბრალო მოხუცო, მამე ამა მიცვალბულისა, ჭეშმარიტად განუზომელი უბედურება გეწია დღეს. ამისთანა შეილი ჯერეთ არავის არ დაუქარგავს! ზარნა მხნეთ იყავი. ჩვენ მოხუცებულთა კაცთა სახე და მაგალითი უნდა უჩვენოთ ახალ გაზდობასა. ღვთის მორჩილებით უნდა მოვითმინოთ უბედურება და მწუხარება!

ზაბრაელ, მისკოპოსი იმერეთისა

დღიური

* * * ბუშინწინ, 12 მარტს, გადაცელილა ტვერში საქართველოს ექსარხოსათ მყოფი არქივისკოპოსი მესევი. ბუშინ მთილისის ეკლესიებში გადინადეს ყველგან პანაშვიდი. სასულიერო სემინარიიდან და სასულიერო სასწავლებლიდან შეგირდები მიწვეულნი იყვნენ სიონის სობოროში, საცა ყოველად უსამღედლოვსმა იოანეკემ შემდეგ ლიტურგიისა გადინადა პანაშვიდი.

* * * მთილისის მოამბეს“ გაუგონია, რომ ჩვენი სასამართლო პალატის გადაწყვეტილება ჩხოტუას საქმეზე სენატს უკანონოთ უცენია და გაუუქმებია.

* * * ჩვენ შევიტყეთ, რომ პეტერბურლის ქართველ სტუდენტებს გადმოუთარგმნიათ სამი მოლიერის კომედია „ძირიანგი“ „მკვით ავთმყოფი“ და

ნა ის, რაც მე ჩემ დღეში არ მითქვამს. მართი სიტყვით, მე მსურს გიჩვენოთ, რა უღირს იარაღით მებრძვიან „ივერიის“ მწერლები, რომელნიც ზოგიერთებს მიანიხიათ კეთილ-სინიღისიან მწერლებათ.

მოვიყვან აქ რამდენიმე მაგალითს.

I
სტატიაში „ფიქრი და შენიშვნა“ ორ გვერდზე (იხ. 109 და 100 გვ.) დამცინიან: ზ. თუმანიშვილმა თქვაო, რომ 1876 და 1877 წლებში ქართული მწერლობა ნიკოლაძემ გააცოცხლაო და ჩვენ კი ვიცით, რომ ამ წლებში ნიკოლაძე ქართულად არაფერს სწერდაო.

მართალს არ ბძანებ უფ. „ივერიელი“, რადგან, როგორც ყველას ახსოვს, უფ. ნიკოლაძემ ხსენებულ წლებში „ღრმებაში“ დასწერა ოცამდი კარგად გრძელი სტატია: ქუთაისის ბანკზე, მაჭახე თაძის სტატიაზე, ომზე, სირაჯ-პაოტზე, „ივერიანზე“ და სხვ.

II

იმავე სტატიაში „ივერიაში“ მე დამცინიან შემდეგ ვგარად:

„წერ ავტორი (ე. ი. ზ. თუმანიშვილი) ამბობს, რომ ქართულ გაზეთებს შეძლება არა აქეთო საკუთარი კორრესპონდენტები იყოლიონო; მერე ამბობს—ქართულ გაზეთების კორრესპონდენტები ტყუილებს ლაპარაკობენო, და ერთი-ერთმანეთს ამტყუნებენო. მაშასადამე გაზეთებს ჰყოლიათ საკუთარი კორრესპონდენტები. (იხ. 115 გვ.)

აქ აშკარად ამის დამწერი თავს იკატუნებს, მითომ არ ვიცით, რომ გაზეთს შეუძლიან იყოლიოს საკუთარის გარდა კიდევ დროებითი, შემთხვევითი კორრესპონდენტები; ჩემ კრიტიკოსს სურს მომისიოს უმეცრები.

III

მე ჩემ „ალმანახის“ ერთს ადგილას ვამბობ:

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ასჯერ და ათასჯერ მეტი ზედმოქმედ-

ბა ექნებოდა ჩვენზე ილ. ჭავჭავაძის პოემას, თუ იმაში გამოყვანილი იქნებოდა ახალგაზდა, ცხოვრებისაგან ჯერ არ გაფუჭებული კაცის ტანჯვა ერთ ლუკმა პურის შოვნაზე. აბა ერთი სწორედ დაეხატა ილ. ჭავჭავაძეს, რამდენჯერ იფიწყებს ის თავის წმინდა გრძობას, რომ შიმშილით არ მოკვდეს, რამდენ სილასა სჭამს, რომ უბრალოთ არ დაეღუპოს, რა გარემოება აკვლინებს თავს საპყრობილეში ახალგაზდა შემძლებელ, განათლებულ კაცს, რა ადვილია ჩვენებური გლეხის დაქცევა და დანელება და სხვ. (იხ. 49 გვ. „ალმანახი“ № II)

ამ ჩემ სიტყვებს ჩემი „ივერიელი“ კრიტიკოსი ასწავაფრებს ესე: ზ. თუმანიშვილი ბრძანებს მხოლოდ ჩინოვნიკობაზე სწერეთო და სიგიჟეა მამ რა არისო. (იხ. 118 გვ. „ივერიისა.“)

ზ. თუმანიშვილი

(დასაბრუნო შემდეგ №-ში)

„დონ-ჟუანი“. აგრეთვე იტალიანური კომედია ზორდონისა „ისე არა სწვიმს, როგორც ჰქუხს“.

* * * მოვიყვანო აქ ანგარიშს ქართულ წარმოდგენისა, 11 მარტს, რომელიც სცენის მოყვარეებმა გადმოგვეცეს ჩვენ დასაბეჭდათ.

ანგარიში

შემოსავალი — — —	408 მ.	50 კ.
აქედამ დაიხარჯა:		
ზალის ქირა — — —	50 მ.	”
მუზიკაში — — —	40 მ.	”
პარიკმახერს — — —	8 მ.	”
წვრილმანებში: მაგალ. აფიშების დაბეჭდვა და გასაკრავი, ტანისამოსის ქირა, დეკორაციის გამართვა, მოსამსახურეები და სხვ. — — —	75 მ.	”

სულ 173 მ.

ნაღდი დარჩა — — — 235 მ. 50 კ., რომელნიც კუთვნილებსამებრ გადაიცა.

სამართალი

(„დროების“ კორრესპონდენტისაგან)

ურიპის საქმე

მუთათისის ოლქის სასამართლოში

სხდომა 9 მარტს ხალხის

(ზარდვლები)

დამცველი ალექსანდროვი. რადგან პროკურორისა და ჩვენი მოწმეების საშუალებით საქმე უიმისოთაც გამოკვლეულად და ცხადათ მიგვაჩნია, ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ დანარჩენი მოწმეები განვათავისუფლოდ ჩვენების ჩამორთმევისაგან, გარდა იოსებ იაკობაშვილისა და ნათო სოცი- შვილის.

ამ აზრს დაეთანხმა პროკურორი, მხოლოდ თავის მხრით მოითხოვა, რომ ორი სხვა მოწმეებიც იყვნენ ნაკითხნი: მოშა და ისხაკა თეთრუაშვილები.

იოსებ იაკობაშვილი. საჩხერეში ვიყავი, ურიების სინაგოგასთან გავიარე, იქ დავინახე ურიების გროვა, რომელთაგანაც მივიღე ერთი პატარა ბიჭი და ჰკითხა—რა უყავით ის ბავში, რომელიც აწვალეთო? მართმა ურიამ შემოჰკრა იმ ბავშს ისე მაგრად, რომ წააქცია. ამის შემდეგ ერთი ურია მიადგა ურიის სახლს და დაუძახა, რომ გამოდით, არ იცითო, რომ დღეს ჩვენ კრება გვაქვსო! ამ სახლიდამ გამოვიდა ერთი მოხუცებული ურიის ქალი და დაუყვირა ურიას:—რა გინდათ ჩემ შვილთან? ბავში რომ აწვალეთ, ის ხომ არ დაგსწრებიათ; ახლა რომ წაიყვანონ, ვინ არჩენს მაშინ იმის წვრილ შვილებსა?!

დიმიტრი აბაშიძე. სოფ. ზორულაში ვიყავი; ხალხი შემომესია და სხვათა შორის დამიწყეს ლაპარაკი, რომ ურიებმა ქრისტიანის ბავში აწვალესო. მე უხსნიდი ხალხს, რომ ეს შეუძლებელია—მეთქი ურიები არ აწვალებენ ქრისტიანს და სხვ. ამ დროს მოვიდა იოსებ იაკობაშვილი და სთქვა, რომ საჩხერეში ყოფნის დროს ვნახეო (მოჰყვა იოს. იაკობაშვილის ნალაპარაკები).

ნათო სოცი აშვილი. საჩხერის მამასახლისის გზირი, ამბობს; რომ იმას არასოდეს არ მოუგროვებია კრება და არც არავის დედაკაცს არ უთქვამს არასოდეს იმისთვის, რომ არ გაძაღუშვებ ჩემ შვილსაო, რადგან ჩემი შვილი იმ ბავშვის წვალებაში არ ერიაო.

ზრიგარი არხ. წერეთელი. ქოსტ. აბლუშელი შვილთან ვიყავი სამშაბათს, ოთხშაბათს დღით გამოველით იქილამ; გზაზე ორი ცხენოსანი ურია შეგვხვდა; ერთს იმათგანს დიდი ხურჯინი ჰქონდა. ბამარჯობა უთხარით ამ ურიებს, მაგრამ ხმა არ გაგვეცეს. ურიები ჰერევისის გზილამ მიდიოდნენ საჩხერეში. ეს ამბავი პირველად ჩემმა თანამოგზაურმა ივანე წერეთელმა უთხრა პოლიციის პრისტავს, იმან მოგვიხმო და ჩამოგვართვა ჩვენება.

ივანე წერეთელი. აპრილის თვეში სოფ. ბჟინევს გახლდი; ოთხშაბათი დღე იყო; მეორე დღეს ადრე წამოვედი აქედამ; დიდ-მელს რომ გამოველი ორი კაცი დავინახე, ცხენზე იყვნენ. მათი იმათგანი მოშა იყო. დაუძახე: მოშა—ხარ შენ? იმან ხმა არ გამცა და თავის გზაზე წავიდნენ, ჩვენც მოვშორდით. ხურჯინი ჰქონდა.

ვიქტორ იურკევიჩი. საჩხერის ბაზარში მივიდიოდი;—გზაზე შემხვდა მოშა სოციშვილი და ერთიც სხვა. მართმა ამათგანმა სთქვა, მე ვკითხე დავით ჯამასბერიშვილს და იმან მითხრაო, რომ თუ არ ვეცადეთ, თუ მაგრად არ მოეკიდეთ ამ საქმეს ხელი, ჩვენი დანაშაულობა დამტკიცდებაო.

ბასილა ძამუშაძე. მოშა შემოვიდა ჩემთან და მითხრა, ერთი საქმე შემემთხვა და მიჩივიო, მოვიგებ, თუ არაო. მკითხავი გახლავარ, მაჯით უკითხავდი. მურდობაზედ ვკითხაობდი.

ალექსანდროვი ჰკითხავს ამ მოწამეს:—ახლა არ შეგიძლია გვიკითხო—როგორ გათავდება ეს საქმე?

— არა, შენი ჭირიმე, არ შემიძლია, ამ ათი წლის წინათ ვკითხაობდი.

მოშა. თეთრუაშვილი. მნახე სამი წვენიშვილები, რომელთაგან ერთს ხურჯინი ეკიდა, ხურჯინის ერთს თვალში თხა იყო და მეორეში ლობიო.

ისხაკა თეთრუაშვილი. აჩვენებს იმასე, რასაც შემომოყვანილი მოწამე. ბამომძიებლისთვის ჩვენებინა ამას, რომ ხურჯინის მეორე თვალში ჯამი იყო, ქოთანის და ახალუხი. აქ კი აჩვენა, რომ ამ თვალში ლობიო იყო.

სხდომა 10 მარტს დილას

თავსმჯდომარემ სთქვა მე ინტერვიუ, რომ აქ არ არის ერთი დამცველითაგანნი ბრალდებულისა უფ. ლოლუა. უფ. ტუპერნიკმა ამაზე თქვა, რომ უფ. ლოლუა ავთომყოფობის გამო ვერ მოსულაო და ბრალდებულები თანხმანი არიანო, რომ უიმისოთაც გაგჩქედდეს საქმის წარმოება.

ქსპერტების კითხვის წინათ პროკურორისა და დამცველების თხოვნით, წაიკითხეს შემდეგი აქტები და პროტოკოლები: 1) გამომძიებელის ახუმოვის პროტოკოლი იმ ადგილის დახედვისა, სადაც იპოვნეს მკვდარი სარჩა მოღებადისა. 2) ამავე საგანზე პროტოკოლი გამომძიებელის მენკონისა; 3) პროტოკოლი გამომძიებელის მენკონისა სარჩა მოღებადის გვამის გაზომვაზედ; 4) პროტოკოლი გამომძიებელის ახუმოვის სარჩა მოღებადის გვამის შემოწმებაზედ; 5) ექიმის ბერნოს მოწმობა სარჩას გვამის გაჭრაზედ; 6) პროტოკოლი გამომძიებელის ახუმოვისა სარჩა მოღებადის გვამის ხელ-მეორედ შემოწმებაზედ; 7) პროტოკოლი ექიმის ბულბინსკისა სარჩა მოღებადის გვამის ხელ-მეორედ შემოწმებისა; 8) ექიმის ბულბინსკის აქტი სარჩა მოღებადის გვამის ხელ-მეორედ დამოწმებაზედ; 9) ქურნალი ძავკასისის მედიცინის ბამგეობის საზოგადო კრებისა; 10) პროტოკოლი ხურჯინის დახედვისა და გაზომვისა და 11) პროტოკოლი თხების გაზომვაზედ და 12) პროტოკოლი ყმაწვილის ხურჯინში ჩასმაზე.

ქსპერტი ექიმი ბერნო—ამტკიცებს რომ ის ახლაც ამავე აზრისა არის სარჩა მოღებადის სიკვდილის თაობაზედ, როგორც იყო მაშინ, როდესაც პირველი პროტოკოლი შეადგინა, ე. ი. რომ ის ქალი უნდა იყოს დამღრჩვალი წყლისაგან; ამის საფუძველად იმას მოჰყავს ის, რომ სარჩა მოღებადისას ყელში ჰქონდა ისეთი ქაფი, როგორც აქეთ საზოგადოთ დამღრჩვალებს, ფეხებზე და ხელებზე კანი დამტკნარი ჰქონდა, მუცელში მღვრიე წყალი. შევლა ეს თვისება ისეთია, რომელიც წყალში დამღრჩვალებს შეემჩნევა ხოლმე მეცნიერებისაგან. ადვილად შესაძლებელია, რომ სარჩა მოღებადისა დამღრჩვალთა წყლისაგან, რომელიც იყო იმ ადგილას საცა მიცვალებული იპოვეს. შმაწვილს უეჭველად დალურჯებული უნდა ჰქონოდა ხორცის კანი, თუ ის გაჭენებული ცხენით წაიყვანეს ხურჯინში. ბალურჯებული ხორცი სარჩა მოღებადისას არ ჰქონია, როდესაც მე იმის გვამი შევამოწმე.

ქსპერტი ექიმი ბულბანსკი. მერვე დღეს ყელში ქაფი არ შეიძლება ყოფილიყო, როგორც ამბობს ექიმი ბერნო. ამის გამო ძნელად დასაჯერებელია, რომ სარჩა მოღებადისა უეჭველად დამღრჩვალი უნდა იყოს. სიცოცხლისა და დაქანცვისაგან მომკვდარს ადამიანს უეჭველად ტუჩის და ფალტები საესე უნდა ჰქონდეს სისხლითა. ამ შემთხვე-

განცხადება

როდესაც თფილისის პოლიციის მოხელენი მოითხოვენ ხოლმე მოქალაქებისაგან ქუჩების და ტროტუარების გაწმენდას და გაკეთებას, ბევრი ამ მოქალაქეთაგანი არ ასრულებენ ამ მოთხოვნისაგან, ამისთვის რომ ვითომ ქუჩებისა და ტროტუარების გაწმენდა და გაკეთება იმათი ვალი არ არის ქალაქის გამგეობისა, რადგანაც გამგეობა ახდენინებს სახლის პატრონებს ამ საქარობისთვის ფულს. ეს განცხადება მოქალაქეთა ყურადღებაში მიიღო ზოგიერთა მომრიგებელ მოსამართლეებმა, რომელთაც არაფერი არ გადაახდევინეს იმ პირებს, რომელთ წინააღმდეგ პოლიციამ საჩივარი შეიტანა მოთხოვნის შესრულებლობისთვის. ამ გაუგებარი საქმის ასახსნელათ პოლიციამ მისწერა თფილისის ქალაქის თავს, რომელმაც ამ წლის, 24 თებერვალს, № 915 გვანცობა შემდეგი: რჩევას (დუმას) არ გადუწყვეტია სახლების წინ ქუჩების წმინდად შენახვისთვის გადაეხდევინებინათ მეპატრონებისთვის შესახვედრი ფული და არც ახდევინებს საზოგადო ქუჩების წმენდის და გაკეთების ხარჯათ არავითარ ფულს. ამ ქალაქის თავის მოწერილობის თანახმად და საფუძველსა ზედა მუხლებთა 844, 846, 846 და 848 მე-XIII ტომისა უ. პოლიციის მედიკ. უსტახალხის სიმრთელის დაცვისა, განმეორებით მოვიწვევ უფალთ სახლების მეპატრონეთა დაუყოვნებლივ გასწმენდონ ეზოები, ქუჩები და ტროტუარები თუ იქ იქნება ნაგავი ან სხვარამე უწმინდურება და გაასწორონ ქუჩები. ამ მოთხოვნის შესრულებლობისათვის ბრალდებულნი იქნებიან მიცემულნი სამართალნი.

თფილისის უმროსი პოლიციისმეტრო პოლკოვნიკი მერკლინგ.

ვაში მართლაც შესაჯერებელია, რომ სარა მოდებადისა მომკვდარიყო სიცივისა, დაქანცვისა ანუ შიმშილისაგან. ეს არის ჩემი აზრი. მაგრამ დარწმუნებით, დაბეჯითებით თქმა, რომ უეჭველად ასე მოხდაო და არა სხვა ფრივო, — ამის თქმა არათუ მე, რომელსაც ამ შემთხვევაში არ მინახავს თვითონ მიცვალებული ადგილობრივ, რომელმანც რამდენიმე კვირის შემდეგ გაემიჯვ მიცვალებული, არ შემიძლია და ვერც ვიტყვი.

ალექსანდროვის ძი თ ხ ვ ა ზ ე: იმ ადგილიდამ, რომელსაც თითება შუა ამოგლეჯილი ჰქონდა ხორცი სარა მოდებადისას, სისხლის გამოშვება ძალიან ცოტა შეიძლება, რადგან ამ ადგილებზე ძალიან ცოტა ძარღვებია. ის იარები იყო სიკვდილის შემდეგ. შესაძლებელია, რომ ეს იარები თავისგან-ორისგან ან სხვა ამგვარ ცხოველისაგან იყოს ნაქნარი. სხენოსან ურიებს რომ ათი ვერსი გაველოთ, ესე იგი ცვენს რომელსაც ხურცინით მოჰყავდა სარა, უნდა ექნა 15,000 ნაბიჯი; ყოველ ნაბიჯზე თითო ჯლიქვი მიეცემოდა ბავშვს და ამგვარად ხორცი ისე საშინლად დაბეჭილი და დალურჯებული იქნებოდა, რომ ექიმები მკვდარის დამოწმების დროს უეჭველად შეატყობდნენ ამ დალურჯებულ ხორცის კანს. იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც ის ბავშვი იქნებოდა ხურჯინში, ხმის ამოდება იმითომ აღარ შეეძლო, რომ მალე უნდა მომკვდარიყო.

თავსმჯომარის კი თ ხ ვ ა ზ ე: მეცნიერება ბეჯითს არაფერს არ ამბობს იმ მიზეზზე, თუ რისგან არის, რომ ზოგი გვამი მალე გაშვდება და ზოგი კი უფრო გვიან? — ეს თითოეულ ადამიანის სხეულზე, აგებულობაზედ არის დამოკიდებული. სასამართლოს გამოძიება გათავდა 2 საათზე.

შემდეგი სხდომა იქნება ხვალ, კვირას, 12 საათზე როდესაც დაიწყება პრენიები (ბასი) პროკურორსა და დამცველებს შუა.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

მენა, 12 მარტს. აესტრიის რეინსტაგის დეპუტატების პალატამ გადასწყვიტა რქროს რენტის გამოცემა. მაჭრობის მინისტრმა გამოუცხადა მართებლობას, რომ სერბიასთან ვაჭრობის პირობაზე მოლაპარაკება თითქმის გათავებულიო; იმედი აქვთ კარგი ბოლო ექმნეს ამ მოლაპარაკებას.

კატმრბურლის ბირჟა, 12 მარტს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	96—78
მეორე —	96—37
მესამე —	95—75
მეოთხე —	96 — ”
აღმოსავლეთის პირ. —	93—50
აღმოსავლეთის მეორე —	93—50
რქრო, 1/2 იმპერიული —	8—41
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	— —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის —	238—50
მეორე სესხის —	234—75
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი —	231 პენსი
ამსტერდამი —	” ცენტი
ბერლინი —	” ჰენიგი
პარიჟი —	” სანტიმი
აქეკასიის კერასინი —	” —

რძ. ბზა.	ღილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი ..	9 21	5 18	კაპ. 8.	კაპ. 8.	რქრო სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 14 მარტს.		ქრევის მადანზე, წინამძღვარის სახლებში.
მცხეთა ..	10 11	6 27	85	44	აქეკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	შქვ. თფ. მანჯისა, ფთ.	160	აგათყოფებს მიიღვენ ყოველს
ზორი ..	11 58	9 43	3	153	როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	შქვილი წითელი ..	135	დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ხაშური ..	1 29	11 57	4 73	2 42	პეტერბურს, მარშავს.	2	შქვილი ფთი ..	115	მ. რ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და ბა-
სურამი ..	1 44		4 90	2 61	მსხალეთში, შვეიც. რიაში.	3	ბამბა ქრევისა, ფთი ..	740	რ. ლევიჩი — შინაგ. ავთა, ქიუჩა-
ქვირილა ..	5 49		7 21	3 69	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	— ამერიკისა, ფთი ..	850	რიანც — ქალის ექიმი და საშვი-
რიონი ..	6 57		8 44	4 31	ინგლისში ..	3 75	ბაპენტლი ბამბა ფთი.	960	ლოსნოს ოპერაციები.
სამტრედიო ..	7 51		9 66	4 93	ზოგადი		მატული თუშური ფთი.	640	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — ში-
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მ. შურ. — პარასკ. და ორშ. ბახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. შურ. გვთს — ორშ. და პარასკ.	380	— მარაქამისა ფთი ..	380	ნ. გ. ა. ბახტოვი — საბებიო და ბავ-
შოთი ..	9 50		12 24	6 26	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.	აბრეშუმი ნუხური სტ.	210	შვის. პეტროვი — თფილის.
შოთი ..	9 3				ლია წიგნის ..	4	— მონი, ფთი ..	530	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ი: მერმიშვი ში-
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78	დაბ. კლილის (ხამი მისხალი) ..	8	მონის სანთელი ფთი ..	760	ნ. განი ავთყოფობის.
სამტრედიო	11 5		2 61	1 33			სტეარინის სანთელი, ფთ.	1250	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — ში-
რიონი ..	12 13		3 84	1 97			ხორცი ძროხისა, ლიტ.	1 8	ნ. გ. ა. ქიუჩარინცი — სიფილიტიკუ-
ქვირილა ..	1 18	ღამე.	5 3	2 56			— ცხვრისა, ლიტრა ..	1 8	რი და ხაშარდგ ორგანების.
სურამი ..	5 12		11 07	34 374			სპირტი ვედრო ..	460	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვი — შინაგ.,
ხაშური ..	5 39		13 77	51 384			შაქარი, ბროც. ფთი ..	740	ა. ბახტოვი — საბებიო, ქალისა და
ზორი ..	7 5		4 89	24 473			— ფხენილი ფთი ..	550	ბავშვების.
მცხეთა ..	8 50		6 59	11 39 582			შავა გრგვლი, გირვ ..	65	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგ., და
თფილის ..	9 31		7 56	12 24 626			ხეთი ქუნჯუთისა ფთი	1170	პეტროვი — თფილისა.
							თამბაქო, ხაშულო ფთ.	690	